



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
gaas.georgia@dsl.ge
acad.as@gaas.dsl.ge

ვებ-საიტი:
www.gaas.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2 91 03 90

*ზელო აბ რნია ჰვაეიღს იღუენიღუს, თუ კაცს პბთგტრქსი,
წინსვლას დეაბიანინას თუქ სიფცყად აბ მიაჩნის
ილია ჩავჭავაძე*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

გაზეთი “აკადემიის მაცნე“, რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ეთმობა ყურადღება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

მილოცვა



საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს აგრარიკოს მეცნიერების სახელით ულოცავს

აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილს

საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი

წმინდა გიორგის ოქროს ორდენით

დაჯილდოებას მეღვინეობა-მევენახეობის სამეცნიერო დარგში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

ბატონ ნოდარს ორდენი და სიგელი გადასცა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მთავარეპისკოპოსმა მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტმა ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ილია II.

საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავისი წესდების მე-X თავის შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსად) ასრჩევად მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების ვაკანტურ ადგილზე შიფრით 010303 ცხოველთა და ფრინველთა კვება (ბიოქიმიის მიმართულებით).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს (წევრებს), სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა (ორ ცალად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის

წევრის (წევრების) წარდგენა სათანადო დასაბუთებით. კანდიდატის ავტობიოგრაფია, სამეცნიერო ხარისხისა და წოდებების დამადასტურებელი მოწმობები (ნოტარიულად დამოწმებული ასლები) მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV) სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ფოტოსურათი (4x6).

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. დოკუმენტაციის მიღება ხდება ზემოაღნიშნული განცხადების პრესაში გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102 ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20. 2 94-13-21. 2 96-03-00) საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 18 საათამდე.

საქართველოს
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
საერთაშორისო ურთიერთობები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 25 აპრილს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის მოხსენება: **“სასოფლო-სამეურნეო კვლევების გლობალური ფორუმის და FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო კვლევების სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შესახებ (საფრანგეთი, მონპელიე)”.**

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის 7-9 აპრილს ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) ჩატარდა სოფლის მეურნეობის კვლევების გლობალური ფორუმის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, წინა აზიის, ევროპის, აზიის, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებმა. ჩვენი რეგიონიდან (CACAARI) მონაწილეობა მიიღეს ამ ორგანიზაციის აღმასრულებელმა მდივანმა დოქტ. ალიშერ ტაშმატოვმა და CACAARI-ს წევრმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ.**

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე განიხილეს ზემოთ აღნიშნულ რეგიონებში ჩატარებული სამუშაოები, რომლებიც წარმოადგინეს რეგიონალური ფორუმის აღმასრულებელმა მდივანებმა. განხილული იქნა აგრეთვე საკითხი თუ როგორ

უნდა მოხდეს სხვადასხვა ორგანიზაციების: სამთავრობო, სამეცნიერო, სასწავლო, საკონსულტაციო ცენტრების, ფერმერების, არასამთავრობო ორგანიზაციების კონსოლიდაცია, რათა მოხდეს ფერმერთა ან სოფლად დასაქმებული წვრილი მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო აკად. გ. ალექსიძემ, რომელსაც რამოდენიმეჯერ მოუწია გამოსვლა აღნიშნულ და სხვა საკითხებზე. საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის კონფერენციების, თათბირების და კონსულტაციების ჩატარების მიზნით გამოიყოფა 70 ათასი აშშ დოლარი.

10-11 აპრილს საფრანგეთის იმავე ქალაქში ჩატარდა FAO-ს ტროპიკული ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების პლატფორმის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ

სამხრეთ ამერიკის და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები. თათბირის მუშაობაში, როგორც დამკვირვებელმა სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან, მონაწილეობა მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის **პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ**.

საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ საჭიროა შეირჩეს ტროპიკული რეგიონებიდან 8 ყველაზე

ჩამორჩენილი ქვეყანა, სადაც განხორციელდება ყველა ის ღონისძიება, რაც საჭირო იქნება იმ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პროექტი დამუშავებულია 20 ქვეყნის წარმომადგენლების მიერ და მის განხორციელებლად FAO-ს მიერ გამოყოფილია 3,5 მლნ აშშ დოლარი. პროექტის განხორციელების ვადაა 3 წელი.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 25 აპრილს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თამაზ კუნჭულიას მოხსენება: “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის ახალი არჩევანი”.

აღინიშნა, რომ ეს არ არის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხილვა, არამედ არის მსჯელობა მის ცალკეულ დეტალებზე, რისი აუცილებლობაც განაპირობა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გამოცემული სტრატეგიებისა თუ კონცეფციების, აგრეთვე, სოფლის მეურნეობაში პრაქტიკული საქმიანობის ანალიზმა.

ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ფაქტიურად არც ერთი სტრატეგია არ განხორციელებულა, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულებით თუ მთავრობის დადგენილებით მოწონებული. იგივე შეიძლება ითქვას რამდენიმე დარგობრივი პროგრამის შესახებაც.

სტრატეგიის განუხორციელებლობის ძირითადი მიზეზი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისადმი მათი შეუსაბამობა და რაც მთავარია, არარეალური ღონისძიებების დასახვა იყო.

სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური ხედვების ჩამოყალიბების მიზნით იგი წარმოდგენილია შემდეგნაირად: არსებული მდგომარეობა, პოზიტიური ნაბიჯები, პრაქტიკით ნაკარნახევი ხედვები, პრაქტიკული ხედვების რეალიზაციის გზები.

აღნიშნული მასალები სრულად გამოქვეყნდება აკადემიის მოამბეში. ამიტომ მომხსენებელი შეეხო მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

არსებული მდგომარეობით საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების მიუხედავად, ეკონომიკური განვითარებით, საქართველო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ყველაზე ჩამორჩენილია და იმ დროის მანკებულბებისათვის დღემდე არ მიუღწევია.

აგრარულ სფეროში არსებული ეკონომიკური სიტუაცია განხილულია მოსალოდნელი გამოწვევების ფონზე, რაც მიმდინარე საუკუნის 40-50-იან წლებში სურსათზე მწვავე დეფიციტის წარმოშობას გულისხმობს და სერიოზულად

შეცვლის განვითარებული ქვეყნების აგრარული პოლიტიკას საკუთარი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებისადმი, აგრეთვე სურსათის დეფიციტის მქონე და თუნდაც დროებით, იმპორტდამოკიდებული ქვეყნებისადმი.

აგრარულ კრიზისს მრავალი მახასიათებელი გააჩნია, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნებისადმი სოფლის მეწარმეების რეაგირების უნარის უქონლობა, უცოდინარობა, კრედიტებზე ხელმიუწვდომლობა.

სოფლად არსებული მიძიმე მდგომარეობის ყველაზე განზოგადებული მანკებელია სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტის მოშლა, სოფლის მაცხოვრებლების არყით თრობისაკენ ღტობა. სერიოზული პრობლემაა მთის დაკნინება, მის მიერ ერის გამრავლების, ერის სანერგის ისტორიული ფუნქციის დაკარგვა.

პოზიტიური ძვრებიდან აღსანიშნავია რუსეთის ბაზრის ნაწილობრივი გახსნა, სახელმწიფოს მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნა, სამანქანო ტექნოლოგიური სადგურების მშენებლობა, სამელიორაციო სამუშაოების გაფართოება, კანონის მიღება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ და შესაბამისი სააგენტოს ჩამოყალიბება, წერილი ფერმერებისათვის საგაზაფხულო სამუშაოების შესრულება და მრავალი სხვა. ყოველივე ეს კარგია, თუმცა საკმარისი არ არის, მცირე გამოწვევის გარდა, სისტემური ხასიათის უქონლობის გამო.

ცნობილია, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, რისთვისაც შესაბამისი ადამიანური რესურსების არსებობასთან ერთად, აუცილებელია ჯიშისანი თესლის, ნერგის, სანაშენე პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ფინანსური რესურსების, წარმოებული პროდუქციის გარანტირებული შესყიდვის მექანიზმების არსებობა, სახელმწიფოს პოლიტიკური ნება.

ზემოდასახელებული ფაქტორების რეალურად არსებობის გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა მზად არ არის მაღალი ტექნოლოგიების დასახეურვად. პრაქტიკა გვჩვენებს, რომ ტოტალური ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ფონზე, თითქმის შეუძლებელია გარღვევა თუნდაც ერთი რომელიმე დარგის მიმართულებით. ამიტომ ჩვენ უნდა ვეცადოთ არა მაღალი ტექნოლოგიების სრულად დანერგვას, არამედ მისი თანდათანობით, პირველ რიგში იმ შემადგენლის დანერგვას, რომელიც შემდგომი ნაბიჯების საფუძველი გახდება.

ტექნოლოგიური პროგრესისადმი ასეთი მიდგომა გამართლებულია, რის საპირწონედაც გამოდგება უმეტეს დარგებში სოფლის მეურნეობის გაძღოლის დღემდე შემორჩენილი მამაკაპური წესები.

დასაბუთებულია სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და მისი სახელმწიფო ფინანსებით შესრულების აუცილებლობა. ნათქვამია, რომ სახელმწიფო ღონისძიება იმავდროულად პოლიტიკის შემცველი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველ რიგში უნდა შესრულდეს დარგში, რომელიც მოსახლეობის დიდ მასას მოიცავს და რომლის შედეგები როგორც რეაბილიტაციის პერიოდში, ისე განსაკუთრებით, რეაბილიტაციის შემდეგ, ოჯახების შემოსავლების ძირითადი წყარო გახდება. ასეთებია მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა.

მრავალდარგიანობა, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის არის დამახასიათებელი, მიწების ბუნებრივი და ეკონომიკური დანაწევრების პირობებში, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხელშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

მიზანშეწონილია სპეციალური კომისიის მიერ, სადაც შევედრ აკადემიის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით, ბოლო ოცწლეულში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, უნდა შეირჩეს ერთი რომელიმე სახის პროდუქცია, რომლის წარმოებაზეც კონცენტრირებული იქნება როგორც მეწარმეების, ისე სახელმწიფოს ძალისხმევა, მეწარმეებს გაეწევათ სერიოზული ფინანსური დახმარება, შემუშავდება შესაბამისი ეკონომიკური რეგულაციები.

პროდუქციის ჩამონათვალი, როგორც მოცემული საწარმოო სპეციალიზაციის ზონისათვის პრიორიტეტული მიმართულება, უნდა დაამტკიცოს ჯერ სამინისტრომ და შემდეგ მთავრობამ.

რამდენადაც მოცემულ ეტაპზე, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პერსპექტივები შეზღუდულია, ჩვენ სხვა გზა უნდა ავირჩიოთ. კერძოდ, ვიართ მცირე ინტეგრირებული საწარმოების შექმნის გზით, რათა მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ნედლეულის მწარმოებლებსაც რომ გადაუნაწილდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტეგრირებული კოოპერატივების ჩამოყალიბებას, სადაც ტექნიკით უზრუნველყოფა მოხდება ლიზინგის წესით, იაფი აგროკრედიტის გამოყენებით.

კრედიტის ხელმისაწვდომობა როგორც პრაქტიკული, ისე საფინანსო ბაზრის მდგრადობის გათვალისწინებით, ყველაზე საკამათო საკითხია. განვიხილოთ წლებმა დაგვანახეს, რომ სოფლის მეურნეობა საკრედიტო ინსტიტუტებისათვის კვლავ არასასურველი კლიენტია. სერიოზული გარდატეხა ვერც იაფი აგროკრედიტის პროექტმა შეძლო. მიუხედავად პროცენტის სუბსიდირებისა ბანკების მონაწილეობა კრედიტის გაცემაში არაფექტიანი აღმოჩნდა, ძირითადად ლიკვიდური საგირავნო ქონების არსებობის, მეწარმეების სანდოობის, ფინანსური ნაკადების მართვის უცოდინარობის გამო.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბანკების მეშვეობით აგროკრედიტის გაცემა, რაც ალბათ სწორი გზაა, ეფექტიანი ვერ იქნება, ვიდრე არ შეიქმნება არა მარტო პროცენტის სუბსიდირების, არამედ სახელმწიფო საგირავნო ფონდი.

სხვანაირად, რამდენიმე ათეული მილიონი ლარი, რომელიც იაფი აგროკრედიტის ფარგლებში გაიცა, ამინდს ვერ შექმნის, რამდენადაც უცხოელი ექსპერტების გაანგარიშებით საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭიროა სულ მცირე 6 მლრდ აშშ დოლარი, საიდანაც ადგილობრივი რესურსების ყოველწლიური კაპიტალიზაცია 600 ათას აშშ დოლარს არ აღემატება.

საბაზრო მექანიზმების გამოყენებით პროდუქციის შესყიდვა განხილულია როგორც საწარმოო ჯაჭვის მაინტეგრირებელი რგოლი. პროდუქციის შესყიდვა ყველა შემთხვევაში უნდა მოეწეოს, თუნდაც სოფლის მეურნეობაში რეფორმების განუხორციელებლობის პირობებშიც კი.

დასაბუთებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების და ექსპორტის უპირატესობა, რაც განსახორციელებლად ძალიან რთული და ძვირადღირებული ღონისძიებაა. აღნიშნულის პარალელურად სერიოზული განსჯის საგანია გენმოდირიცირებული პროდუქციის პრობლემები. თუ გავითვალისწინებთ სურსათით მსოფლიო მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემებს, მოსალოდნელია გენმოდირიცირებული პროდუქციის ტოტალური შემოტევა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პროდუქციის ჯანმრთელობისათვის მავნეობა ჯერ არავის არ დაუმტკიცებია, ადამიანები მის მიმართ მაინც უარყოფითად არიან განწყობილი.

თუ საქართველო შეძლებს გენმოდირიცირებული პროდუქციის მოზღვაგებისაგან საკუთარი ბაზრის დაცვას, ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მსგავსად, მაღალ ფასში გაიყიდება. ამ მიმართულებით საჭიროა სპეციალური პროგრამის შემუშავება.

მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 4 ივნისს მოისმინა აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის მოხსენება: “მაღალი ტექნოლოგიების ათვისებაზე ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგის პრიორიტეტები”.

აღინიშნა, რომ აგროსაინჟინრო სფერო მოიცავს ისეთ ურთიერთ კავშირში მყოფ და ურთიერთ განმსაზღვრელ დარგებს როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგია, მანქანათა სისტემა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია და აგროსაინჟინრო სერვისი. აღნიშნული დარგების ურთიერთ გავლენაში წამყვანი როლი მიეკუთვნება სამანქანო ტექნოლოგიას. იგი თანამედროვე ეტაპზე გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს სასოფლო-სამეურნეო მანქანების კონსტრუქციას და მანქანათმშენებლობის დონეს ტექნოლოგიური პროცესების შესრულების სიტუაციის, მწარმოებლობის გაზრდის და განსაკუთრებით, რესურსდამზოგვის მხრივ. ამიტომ პერაპერსპექტიული რესურსდამზოგი მექანიზებული ტექნოლოგიების დასაბუთება, მანქანების და აგრეგატების რაციონალური პარამეტრების პროგნოზი, ოპტიმალური მანქანათა სისტემის და მანქანა-ტრაქტორთა პარკის (მტპ) ფორმირება წარმოადგენს ახალი ტექნიკის შექმნის, წარმოების და გამოყენების აუცილებელ წინაპირობას. ყველა აღნიშნული პრობლემების ერთობლიობაში გადაწყვეტა გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგროსაინჟინრო კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრისათვის.

სამანქანო ტექნოლოგიებისა და მანქანათა კომპლექსების განვითარების თანამედროვე ტენდენცია ისეთია, რომ დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ოპერაციების რაოდენობა იყოს მინიმალური. იდეალურ შემთხვევაში ოპერაციების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ციკლების რაოდენობას, ანდა მაქსიმალურად მიუახლოვდეს მას. ასეთ შემთხვევაში გარანტირებული იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მდგრადობა ნებისმიერი ამინდის პირობებში, რადგან მრავალფეროვანი კომბინირებული აგრეგატებით ერთდროულად რეალიზდება როგორც ტენდამზოგი, ისე რესურსდამზოგი ტექნოლოგიები.

მიწათმოქმედების მექანიკა, როგორც მეცნიერება, თავის დროზე ჩამოყალიბდა ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების, მუშა ორგანოების და მანქანების თეორიული საფუძვლების ბაზაზე. თანამედროვე ეტაპზე კერძო თეორიები ემსახურებიან მხოლოდ არსებული, ტრადიციული ტექნოლოგიებისა და მანქანების სრულყოფას. მეცნიერებატევადი, რესურსდამზოგი, მაღალი სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნისათვის კი საჭიროა პრინციპულად ახალი, განზოგადოებული თეორიების შექმნა. უახლოეს წლებში, სოფლის მეურნეობის მექანიკის დარგში ფუნდამენტური და კომპლექსური გამო-

ყენებითი კვლევების საფუძველზე უნდა შეიქმნას რესურსდამზოგი ადაპტური ტექნოლოგიებისა და ახალი თაობის ტექნიკური საშუალებების ისეთი მეცნიერული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშა ორგანოების რაციონალურ ურთიერთობას ბიოლოგიურ ობიექტებთან: ნიადაგთან, მცენარესთან, ცხოველთან და ა.შ.

მაღალი, რესურსდამზოგი ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების დამუშავება მოითხოვს შესაბამისი დონის მეცნიერულ უზრუნველყოფას. კერძოდ, უფრო სრულად უნდა ჩამოყალიბდეს ნიადაგისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მასალების გამძლეობის მეცნიერული საფუძვლები, რადგან სუსტად არის შესწავლილი ის მექანიკური თვისებები, რომლებიც მათი დეფორმაციისა და მსხვრევის წინააღმდეგობას ახასიათებენ. ესენი არიან ე.წ. რეოლოგიური თვისებები (დრეკადობის მოდული, სიბლანტის კოეფიციენტი, სიმტკიცის ზღვარი, რელაქტაციის დრო და ა.შ.), რომლებიც კოეფიციენტების სახით შედიან იმ დიფერენციალურ განტოლებაში, რომლებიც აღწერენ მათ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგრადობას სხვადასხვა დატვირთვების დროს.

მუშა ორგანოების ზოგად თეორიას აკად. ვ.პ. გორიანკინმა საფუძველად დაუდო სოლის თეორია და მსხვრევის თეორია. რესურსდამზოგი ტექნოლოგიებში ნიადაგის მოხვნა და ბელტების გაფხვიერება ხდება როტაციული მუშა ორგანოებით. მჭრელი დანა, გაივლის რა ნიადაგში, ქმნის მის გარკვეულ მოცულობაში დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობას. შემდგომი გადაადგილებით წარმოიქმნიან ბელტის მომგლეჯი ბზარები. თუ ბელტზე ვიმოქმედებთ ფრეზის დანით იმ დროს, როდესაც იგი იმყოფება წინასწარ დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში, მაშინ წარმოქმნილი ბზარების რაოდენობა იქნება მაქსიმალური, ხოლო გაფხვიერებაზე ენერჯის დანახარჯები მინიმალური; ბელტი, როგორც დრეკად-ბლანტი სხეული დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაში იმყოფება რელაქსაციის დროის განმავლობაში. ამრიგად, რეოლოგიის მეცნიერების გამოყენება თეორიის განვითარებისთვის გვეხმარება მაღალი ტექნოლოგიების და მათი შემსრულებელი მანქანების კომბინირებულ მუშა ორგანოების ერთმანეთის მიმართ რაციონალური განლაგების, კინემატიკური და დინამიკური პარამეტრების დასაბუთებაში.

რეოლოგიის მიღწევების გამოყენება საჭიროა ასევე ისეთი მაღალი ტექნოლოგიების მეცნიერული უზრუნველყოფისათვის, როგორცაა

სიმინდისა და ძირხვენების წარმოება ბაზო-ზოლური ტექნოლოგიით, საკვებწარმოება “შეფუ-თული სენაისი” ტექნოლოგიით და ა.შ.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშა ორგანოების უმეტესი ნაწილი მუშაობს დარტყმით პრინციპზე. ამიტომ კლასიკური მექანიკის დარტყმის ენერგეტიკული თეორიის გამოყენებით აკად. ვ.პ.გორიაჩინმა დაამუშავა მიწათმოქმედების მექანიკის მთელი რიგი აქტიური საკითხები. თანამედროვე ეტაპზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მუშაობის მაღალ სიჩქარეებზე გადასვლის, კომბინირებული მანქანების ფართოდ გავრცელების გამო, საჭიროა დარტყმის თეორიის და რეოლოგიის უახლესი მიღწევების გამოყენებით სოლის თეორიის, სასოფლო-სამეურნეო მასალების ჭრის, მსხვერვის, დეფორმაციის, გამკვრივების, სეპარაციის და ა.შ. თეორიების განვითარება.

მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების დაპროექტება ძირითადად ხდება ბლოკ-მოდულური პრინციპით. ამიტომ უნდა დამუშავდეს ბლოკ-მოდულური პრინციპით მოქნილი ენერგო-ტექნოლოგიური კომპლექსების შექმნისათვის ტექნოლოგიური, გეომეტრიული, კინემატიკური და ენერგეტიკული პარამეტრების საინჟინრო გაანგარიშების საფუძვლები. საჭიროა ასეთი მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაცია, როგორც ტექნოლოგიური, ისე ტექნიკური და ეკონომიკური კრიტერიუმებით.

ვ.პ.გორიაჩინს მიაჩნდა, რომ მასებისა და

სიჩქარეების ნორმალური სიდიდეების საკითხი ძირითადია მიწათმოქმედების მექანიკაში. თანამედროვე გაგებით ეს თეორია ფაქტიურად არის მანქანების პარამეტრების და მათი მართვის სისტემების (მათ შორის ავტომატური მართვის) ოპტიმიზაციის თეორია, რომელიც მოითხოვს შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით ბლოკ-მოდულური პრინციპით მომუშავე მანქანების დაპროექტებისათვის.

მაღალი ტექნოლოგიის შემსრულებელი მანქანების დამუშავებისათვის განსაკუთრებით აქტიურია მათი საიმედოობაზე გაანგარიშების მეთოდის სრულყოფა. განსაკუთრებით საჭიროა ისეთი საიმედოობის თეორია, რომელიც ალბათური და დეტერმინირებული მეთოდების შერწყმისინთეზის გზით საიმედოობის მაჩვენებლებს დააკავშირებს ჯერ ერთი მანქანის კონსტრუქციის მასალის ფიზიკო-მექანიკურ თვისებებთან, ასევე ამ თვისებების დროში ცვალებადობასთან და მეორეს მხრივ მანქანის ცალკეული რგოლების, კვანძებისა და მექანიზმების პარამეტრებთან, ასევე მუშა ორგანოზე მოქმედ ძალებთან და ამ მანქანის ექსპლუატაციის რეჟიმებთან.

ზემოთ გამოყოფილი აგროსაინჟინრო კვლევების პიორიტეტული მიმართულებების დამუშავება დააჩქარებს რესურსდამზოვი მაღალი სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების შექმნას და ათვისებას სოფლის მეურნეობაში.

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 4 ივნისს მოისმინა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის როლანდ კოპალიანის მოხსენება: “აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის შესახებ”.

აღინიშნა, რომ საქართველოს სუბტროპიკები დედამიწის სუბტროპიკული სარტყლის უკიდურეს ჩრდილო საზღვარზე მდებარეობს და ამდენად სუბტროპიკული და ტროპიკული ქვეყნებიდან ინტროდუცირებული სუბტროპიკული კულტურებისათვის შედარებით მკაცრი აგროკლიმატური პირობებია. აღნიშნულიდან გამომდინარე, თავის დროზე, საქართველოში დაარსდა რიგი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომელთაც დაევალათ გამოეხატათ სუბტროპიკული კულტურების მოთხოვნილებების, საქართველოს სუბტროპიკულ აგროკლიმატურ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის შესაძლებლობები, ტექნიკური, სელექციური და სხვა ღონისძიებების გამოყენებით.

ამ მიმართულებით უაღრესად ეფექტური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები იქნა ჩატარებული, მათ შორის საქართველოს

სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, რომელიც დაარსდა 1952 წელს ქ. ქუთაისში სას. სამ. ინსტიტუტის სახელწოდებით და 1959 წელს ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გადატანილ იქნა ქ. სოხუმში და ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. მოგესხენებათ, აფხაზეთში ცნობილი მოვლენების შემდეგ, სსმი დაბრუნდა ქუთაისში და გააგრძელა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სსმსუ-ის სტატუსით – 2010 წლამდე. 2010 წლის 16 ნოემბრიდან ის შეუერთეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ამჟამად ფუნქციონირებს აგრარული ფაკულტეტის სახით.

ამჟამად აგრარულ ფაკულტეტზე მოქმედებს 5 დეპარტამენტი:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;
2. სუბტროპიკული კულტურების დეპარ-

ტამენტი;

3. ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი;

4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი;

5. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტი.

აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტში მუშავდებოდა 3 თემა:

1) სამეგრელოს ჭარბტენიან ალუვიურ ნიადაგებზე თხილის ახალგაზრდა პლანტაციის აგროეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება სამეგრელოს – ნოსირის სასწავლო მეურნეობაში.

კვლევის მიზანი: სამეგრელოს რეგიონის ალუვიურ ჭარბტენიან ნიადაგებზე დაშრობითი ღონისძიებების გავლენა ნიადაგის აგროეკოლოგიურ გარემოზე.

თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი სხვადასხვა გამოცემაში.

2) იმერეთის რეგიონში გავრცელებულ ციტრუსოვანთა პოპულაციებში ყინვაგამძლეობის ამღლება შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით.

კვლევის მიზანი: ჰიბრიდ „კავკასიის“ და ტრიფოლიატას მუტანტი №1 და №2 მამა საწყისი კომპონენტებად გამოყენება და მათი ლიმონისა და ფორთხლის ჯიშებთან შეჯვარებით შორეული ჰიბრიდების უაღრესად ფართო სპექტრის მიღება. თემის ირგვლივ გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო ნაშრომი.

3) ხეხილის ბაღებში ფიტოსანიტარული მონიტორინგის განხორციელება.

კვლევის მიზანი: ხეხილის ბაღებში გავრცელებული დაავადებებისა და მავნებლების შესწავლა.

შედეგი: გამოვლენილ იქნა ვაშლის მონილიოზის, ხურმის ფომოფისის გავრცელება იმერეთის რეგიონში და შემუშავებული იქნა მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური ღონისძიებები. გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი.

სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტში მუშავდებოდა 4 თემა:

1) საქართველოს ფერმერულ მეურნეობებში ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების შეთანაწყობისა და განაშენიანების სქემის შემუშავება.

შედეგი – წარმოდგენილია ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების შეთანაწყობისა და განაშენიანების სანიმუშო სქემა ზონების მიხედვით, იგი შესაძლებელია იცვლებოდეს არა მარტო ნიადაგურ-კლიმატური მაჩვენებლების, არამედ კულტურათა პროდუქციაზე საბაზრო და სამომხმარებლო მოთხოვნილებების მიხედვითაც. აღნიშნული კვლევის მოდელი ფერმერს საშუალებას აძლევს მთელი წლის განმავლობაში

აწარმოოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტაბილური გაუმჯობესება.

აღნიშნულის ირგვლივ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატია.

2) ნიადაგის მოვლის სხვადასხვა ხერხების გავლენა მანდარინის მოსავლიანობაზე (ნოსირის სასწავლო მეურნეობის მაგალითზე). ისწავლებოდა აგროწესებით მოვლა, სუფთა ანეული (შავად ხნული), ბუნებრივი დაკორდება და შავი პოლიეთილენის აფსკის მულჩად გამოყენება. აღნიშნული ვარიანტებიდან მკვეთრად გამოიკვეთა შავი პოლიეთილენის აფსკის ვარიანტი.

3) ნიადაგის მოვლის ხერხების გავლენა თხილის ახალგაზრდა ნარგავის მიწისზედა და მიწისქვედა ნაწილების ზრდა-განვითარებაზე იმერეთის პირობებში. ვარიანტები: აგროწესებით მოვლა, რიგთაშორისებში სოიოს თესვა შემდგომი ჩაკეთებით და შავი აფსკის მულჩად გამოყენება. საუკეთესო შედეგები იქნა მიღებული შავი აფსკის მულჩის ვარიანტზე. გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო სტატია.

4) კეთილშობილი დაფნის მაღალპროდუქტიული, მექანიზირებული წესით მოვლა-მოყვანისათვის გამოსადეგი ფორმის შერჩევა და წარმოებაზე გადაცემა.

შედეგი – სხვადასხვა ფორმების შესწავლის შედეგად გამორჩეული იქნა მაღალზეთიანი ფორმა №18, რომლის ზეთშემცველობა ნედლ ფოთოლში 2%-ს შეადგენს. ამავე დროს იგი ექვემდებარება მექანიზირებული წესით მოვლა-მოყვანას. გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატია.

ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტში მუშავდებოდა 2 თემა.

1) სუბტროპიკული ზონის გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება და რეაბილიტაციის ღონისძიებები.

კვლევის მიზანი: ქ. ქუთაისის ცენტრალური ქუჩებისა და მაგისტრალების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი და რეაბილიტაციის ღონისძიებების დაგეგმვა. გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი.

2) დეკორაციულ მცენარეთა ზრდა-განვითარების თავისებურებები საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ პირობებში.

კვლევის შედეგები: შესწავლილი იქნა ქ. ქუთაისის გამწვანებაში არსებული დეკორაციული მერქნიანი მცენარეების გარემოსთან ადაპტაციის პირობები. დამუშავდა პალმების ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებები და შესწავლილი იქნა ჩინური აქტინიდიას განვითარების პირობები. გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო სტატია.

აგროინჟინერიის დეპარტამენტში მუშავდებოდა 2 თემა.

1) სოფლის მეურნეობაში უახლესი

მანქანური ტექნოლოგიებისა და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის ეფექტურად გამოყენების, სერვისის, ტექნიკურ საშუალებათა მექანიკა-ტექნოლოგიური პარამეტრების გაუმჯობესების საკითხები.

კვლევის მიზანი: მანქანური ტექნოლოგიისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტურად გამოყენების მეთოდოლოგიის სრულყოფა ნიადაგობრივ-კლიმატური, საველე და სხვა სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით. მანქანების ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების მოძიება.

2) აგროსამრეწველო კომპლექსის სატრანსპორტო მომსახურების თანამედროვე მოდელებისა და ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით. სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის ორგანიზაციისა და მართვის ეფექტური მოდელების შექმნა და მათი პრაქტიკაში რეალიზაცია.

კვლევის მიზანი: აგროსამრეწველო კომპლექსში, კერძოდ მოსავლის მოვლა-მოყვანის ტექნიკური უზრუნველყოფის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე მიწოდება-რეალიზაციის ლოჯისტიკური პროცესების უზრუნველყოფა, სპეციალური ტრანსპორტის ოპტიმალური ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შერჩევის გზით. გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო ნაშრომი.

სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის დეპარტამენტში მუშავდებოდა 4 თემა.

1) ჩაის ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობის განსაზღვრა და ჩაის ექსტრაქტების და ფენოლური ნაერთების გამოყენება კვების

მრეწველობის სხვადასხვა სფეროში.

მეცნიერული სიახლე: შემუშავებული იქნა ჩაიში ფენოლური ნაერთების ჯამური რაოდენობის განსაზღვრის ახალი სპექტრალური მეთოდი. შესწავლილი იქნა ქერის ალაოს ამილაზები და მათი როლი ლუდის წარმოებაში, ქერის ალაოდან მიღებული იქნა ჯამური ფერმენტული პრეპარატი და დადგენილ იქნა ამილაზას აქტივობა. გამოქვეყნდა 6 სამეცნიერო სტატია.

2) ღვინომასალების ხარისხისა და შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით ყურძნის დურდოს თერმული დამუშავება ინფრაწითელი სხივური ენერგიით.

კვლევის მიზანი: ღვინომასალების ხარისხისა და შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით ყურძნის დურდოს თერმული დამუშავება ინფრაწითელი სხივური ენერგიით და შესაბამისი მანქანა-აპარატურული სისტემით უზრუნველყოფა. გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომი.

3) თამბაქოს პირველადი გადამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფა წვრილი ფერმერული მეურნეობების პირობებში.

კვლევის მიზანი: შესწავლილ იქნას საქართველოში თამბაქოს, როგორც სტრატეგიული ნედლეულის, წარმოების აღორძინების შესაძლებლობები წვრილი ფერმერული მეურნეობების პირობებში. გამოქვეყნებულია 1 სამეცნიერო სტატია.

4) სუბტროპიკული ხურმის ნაყოფიდან მშრალი პროდუქციის წარმოება.

კვლევის მიზანი: სუბტროპიკული ხურმის ჯიშების შერჩევა, რომლებიც ვარგისია მშრალი პროდუქციის საწარმოებლად. გამოქვეყნებულია 2 სამეცნიერო სტატია.

ნიადაგებში წყლიერი თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 27 ივნისს მოისმინა აკადემიკოს ჯუმბერ ონიანის მოხსენება: “ნიადაგებში წყლიერი თვისებების სისტემათა რეგულირების შესახებ”.

აღინიშნა, რომ ნიადაგი ჰეტეროგენული ბუნების თვითმყოფადი ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმის ზრდა-განვითარების მართვაა შესაძლებელი, ისევე შესაძლებელია ნიადაგების ნაყოფიერების მართვაც. ნიადაგების ნაყოფიერების მართვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წყლიერ თვისებათა რეგულირება წარმოადგენს. ნიადაგებში წყლიერ თვისებათა რეგულირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი და მაღალხარისხიანი მოსავლის მიღების საქმეში. ნიადაგებში წყლიერ თვისებათა ხელოვნურად რეგულირებით იქმნება უკეთესი ფართობები, მათი დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. ნიადაგებში ტენის ოპტიმალურ შემცველობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული უხვი, მაღალხარისხიანი მოსავლისა და დამუშავებული ფენის მიღება. ნიადაგებში ტენის ოპტიმალური შემცველობები დამოკიდებულია მექანიკურ შემადგენლობაზე, ჰუმუსის შემცველობაზე და მოცულობით წონაზე. ერთი და იგივე ნიადაგში რამდენადაც მეტია ფიზიკური თიხის, ჰუმუსის შემცველობა და მოცულობითი წონა, იმდენად დიდია მისი

დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობები და პირიქით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა წარმოების ხანგრძლივობასა და ინტენსიობის მიხედვით იზრდება მოცულობითი წონები, შესაბამისად კი იცვლება ნიადაგების დამუშავებისა და მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ტენის ოპტიმალური შემცველობები. აგროკულტურები ნიადაგიდან წყალს ადვილად ითვისებენ მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრუქტურული აგრეგატების ზედაპირზე ტენის დაჭიმულობა, ფესვთა სისტემის გავრცელების ზონაში ერთს შეადგენს, ე.ი. საველე ზღვრული ტენტევალობის ტოლია, ხოლო სრული ტენტევალობის დროს 0,1 ატმოსფეროდ მეტად, ამიტომ ნიადაგში ტენის შემცველობა მცენარეთა ინტენსიური ზრდის პერიოდში უნდა მერყეობდეს საველე ზღვრულ ტენტევალობასა და მის 80%-ს შორის. საველე ზღვრული ტენტევალობის 80%-დან მცენარეებში წყლის შეცვლის შენელების მომენტამდე მისი შეთვისება უმნიშვნელოდ, ხოლო მცენარეებში წყლის შესვლის შენელებიდან მცენარეთა ჰეობის ტენამდე მნიშვნელოვნად მცირდება. ნიადაგიდან მცენარეებში წყლის შეთვისების შენელებისას ტენის შემცველობა საველე ზღვრული ტენტევალობის 70, ხოლო მცენარეთა ჰეობისას კი დაახლოებით 50 % ის ტოლია.

ნიადაგების მორწყვა უნდა დავიწყოთ მაშინ, როდესაც ფესვთა სისტემის განვითარების ძირითად ფენაში ტენის საშუალო შემცველობა შემცირდება საველე ზღვრული ტენტევალობის 80 %-მდე და უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ აღნიშნულ ფენაში წყლის შემცველობა საველე ზღვრულ ტენტევალობამდე არ მიაღწევს. ნიადაგებში წყლიერ თვისებათა რეგულირება, მრავალწლოვანი კულტურებისათვის გამოყენებული ნიადაგების დაკორექციისა და მათი ნულოვანი დამუშავების ეფექტურობის სრულ გარანტიას იძლევა და იგი ნიადაგებზე არსებული სარევეთა ბალახების, მრავალწლოვანი კულტურებისათვის სასარგებლო ბალახებით შეცვლასაც უზრუნველყოფს.

ოპტიმალური ტენიანობის ფარგლებში ნიადაგების დამუშავების (კულტივაცია, ხენა, პლანტაჟი) შედეგად ხდება აგრონომიულად სრულფასოვან სტრუქტურულ ერთეულებად მაქსიმალურად დაშლა. ასეთ პირობებში ნიადაგების დამუშავებისას არ ხდება სრულტურული ერთეულების გამტკვრიანება, გაჭყლევა და გაგლეხვა. ნიადაგების დამუშავებისათვის დასაშვებზე მეტი რაოდენობით ტენის შემცველობისას ხდება სტრუქტურული ერთეულების გაჭყლევა, გაგლეხვა და დაბელტვა, ხოლო ნაკლები შემცველობისას კი გამტკვრიანება და დაგროვება. ორივე შემთხვევაში მიიღება უხარისხოდ დამუშავებული ფენა. ტენის ასეთი შემცველობის პირობებში ნიადაგების დამუშავება უარყოფითად მოქმედებს მის სტრუქტურაზე, ფიზიკურ და წყლიერ თვისებებზე, რაც საბოლოო ჯამში ამცირებს აგროკულტურების მოსავლიანობას.

ნიადაგების დამუშავებისათვის საჭირო (ანუ ფიზიკური სიმწიფის) ტენიანობები იცვლება სავარგულებისა და ტრაქტორის სვლის სიჩქარის მიხედვით. ოპტიმალური და დასაშვები შეფარდებითი ტენიანობები 60-70-დან 50-80%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემები შეესატყვისება ტრაქტორის სვლის სიჩქარეს – 3,7 კმ/ს. სიჩქარეთა 6 კმ/ს გაზრდა შესაძლებელია საველე ზღვრული ტენტევალობის დონის 70-80, ხოლო 2 კმ/ს შემცირება კი 50-60% შემცველობის პირობებში.

ნიადაგური თვისებებიდან, აგროკულტურებისას და ჯიშების თავისებურებიდან გამომდინარე მორწყვის ნორმა იანგარიშება ფორმულით $M=H(W_1 - W_2)dx$, სადაც M – არის მორწყვის ნორმა, მ³ /ჰა; H – არის აქტიური ფენის სისქე, სმ-ობით; W_1 არის საველე ზღვრული ტენტევალობა, %; W_2 არის აბსოლუტური ტენიანობა, %; dx – არის ნიადაგის მოცულობითი წონა გ/სმ³. საველე ზღვრული ტენტევალობის დროს ნიადაგში წყლის შემცველობა დამოკიდებულია მის მექანიკურ შედგენილობაზე, აქტიური ფენის სისქეზე, მოცულობით წონაზე და მასში ჰუმუსის შემცველობაზე, ხოლო ნიადაგიდან წყლის აორთქლება კი კლიმატურ პირობებზე, მცენარეთა ასაკზე, ჯიშურ შედგენილობაზე, სავეგეტაციო ფაზაზე, ნიადაგის მოვლის წესებზე და მორწყვის ხერხებზე.

ნაკვეთების სათანადოდ მომზადების შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა მოყვანის თავისებურებათა შესაბამისად, გამოიყენება მორწყვის ოთხი წესი: ზედაპირული, დაწვიმებითი, ნიადაგქვეშა და წვეთოვანი. ზედაპირული მორწყვის შედეგად საშუალო საჰექტარო მოსავლიანობას 30-50%-ით, ხოლო მორწყვის დანარჩენი ხერხები, ამ უკანასკნელთან შედარებით 20-30% ზრდის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ვეგეტაციის დაწყებიდან სიმწიფის დაწყებამდე, ნიადაგის აქტიურ ფენაში ტენის შემცველობა ყოველთვის უნდა იყოს საველე ზღვრული ტენტევალობისა და მის 80% შორის და იგი სიმწიფის დასასრულისათვის საველე ზღვრული ტენტევალობის 70-80%-მდე უნდა მცირდებოდეს, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალხარისხიანი მოსავლიანობის 30-25 ც/ჰა ზრდას.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, 2014 წელს გამოცემულ რეკომენდაციებიდან ნათლად ჩანს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოყენებული ნიადაგების სიდრემების, ჰუმუსის, ფიზიკური თიხის შემცველობებისა და მოცულობითი წონების მიხედვით მოცემულია: ნიადაგების დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური და დასაშვები ტენიანობის ზღვრები, მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობები და მორწყვის ნორმები.

საერთაშორისო სემინარი
თემაზე: „დაჯაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა“.

2014 წლის 04 აპრილს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პიდრომელიორაციის მიმართულების ეროვნული კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფის სემინარი თემაზე: „დაჯაობებული ტერიტორიების ეკოსისტემის მდგრადი მართვა“ (ეროვნული კოორდინატორი ირაკლი ყრუაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი).

სემინარი ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების ეგიდით:
1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, საქართველო;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;
3. სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
4. არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერევანი, სომხეთი;
5. იუნესკოს წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, დელფტი, ნიდერლანდები;
ძირითადი მომსახურებელი: პროფესორი ანი ვან-დამი, იუნესკოს წყლის რესურსების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, დელფტი, ნიდერლანდები;
სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. გ. ალექსიძემ (სემინარის ხელმძღვანელი), აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკად. გ. ჯაფარიძემ, სსმ აკადემიის აკადემიკოსმა ნ. ბაღათურიამ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, სსმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. შაფაქიძემ, აკადემიის სწავლულმა მდივანმა, დოქტორმა ა. გიორგაძემ, აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარმა სპეციალისტმა თ.ეპიტაშვილმა;

საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტიდან: ირაკლი ყრუაშვილმა სრული პროფესორი; ირმა ინაშვილმა - ასოცირებული პროფესორი; კონსტანტინე ბზივამ - ასოცირებული პროფესორი; თამაზ ოდილავეძემ - ასოცირებული პროფესორი; შორენა კუპრეიშვილმა ასოცირებული პროფესორი; ინგა ირემაშვილმა - ასისტენტ პროფესორი; ედუარდ კუხალაშვილმა - აგრარული უნივერსიტეტი, სრული პროფესორი;
სომხეთის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტიდან: არტაკ ზახარიანმა - ასოცირებული პროფესორი; რუზანა შაგინიანმა - ასოცირებული პროფესორი; ჰასმიკ ხურშუდიანმა - ასოცირებული პროფესორი; მარინე მარკოსიანმა - აგრარულ მეცნიერებათა კანდიდატი; ლილიტ სიმონიანმა - მეცნიერ თანამშრომელი;
არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან: ოფელია კუჩკოიანმა - ასოცირებული პროფესორი; ზარა მანველიანმა - პროფესორი; ლილია ხაჩატურიანმა - ასოცირებული პროფესორი; ლილიტ კარაპეტიანმა - ასოცირებული პროფესორი; ანუშ ხუდლიანმა - არქიტექტურისა და მშენებლობის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტი.

მრგვალი მაგიდა
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2014 წლის 7 აპრილს გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: **“სურსათის, ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის განხილვა”**.

მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, სსმ აკადემიის აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, თენგიზ ყურაშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, ნუგზარ ბაღათური; სსმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: ელგუჯა შაფაქიძე, ომარ ბეღია, სსმ აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; მეცნიერებათა დოქტორები: გივი ბასილაძე, დავითი გოდერძიშვილი, გიული გოგოლი, ვლადიმერ თვალთაშვილი, ლევან თორთლაძე.

მაია კერესელიძე, როლანდ მიტინაშვილი, იოსებ სარჯველაძე, გურამ ტყეშელაძე, შადიმან ფოცხვერია, ამროსი ჭკუასელი; დოქტორები: გივი ბედელური, თენგიზ ფირცხალაიშვილი, გიორგი ხატიაშვილი; მოწვეული სტუმრები: სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მისხელ სოსხაძე, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტები: მაია ესებუა, ნიკოლოზ ვარნაზიშვილი.
მრგვალი მაგიდის მუშაობა გახსნა და “სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის,

ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის” რეალურად ამოქმედების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა სსმმ აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკად. ზურაბ ცქიტიშვილმა.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: აკად. გივი ჯაფარიძემ, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ მიხეილ სოხაძემ, აკად. თენგიზ ყურაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წამყვანმა სპეციალისტებმა მაია ესეუამ და ნიკოლოზ ვარნაზიშვილმა, მეცნიერებათა დოქტორებმა: გივი ბასილაძემ, მაია კერესელიძემ,

გურამ ტყემალაძემ.

აღინიშნა, რომ აუცილებელია კოდექსის 22-ე მუხლში, რომელიც შეეხება სააგენტოს უფლებებსა და მოვალეობებს სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, შევიდეს დამატება ბ.ბ) ქვეპუნქტში შემდეგი რედაქციით: “ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება ცხოველთა დასნებოვნებული კერებისა და ვეტერინარული კეთილსაიმედლობის შესახებ”.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა - აკადემიკოს-მდივანმა გივი ჯაფარიძემ.

შეხვედრა საკვების უსაფრთხოების საკითხებზე

2014 წლის 15 აპრილს საპარლამენტო ფრაქცია “ქართული ოცნება - მრეწველების” თბილისის ოფისში გაიმართა შეხვედრა, სადაც განიხილეს საქართველოს კანონის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ” პროექტი;

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი - ფრაქცია “ქართული ოცნება-მრეწველების” თავმჯდომარე გიორგი თოფაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი – აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოს მდივანი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშიაძე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსები ნუზარ ბადათურია, ზურაბ ცქიტიშვილი და ნოდარ ჭითანავა, აკადემიის სწავლული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ანატოლი გიორგაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე ანა გულბანი.

გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების ქვეყანაში შემოტანისა და მარკირების კანონმდებლობის ჩარჩოებში მოქცევის აუცილებლობაზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ზურაბ ტყემალაძემ და პარლამენტის წევრმა გიორგი თოფაძემ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია. თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირეს შეხვედრის მონაწილეებმა.

აღინიშნა, რომ ამ საკითხზე მომზადებული კანონის პროექტი ფართო განხილვისათვის დაეგზავნოს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს და სპეციალისტებს. მიზანშეწონილია კანონპროექტის ფართო განხილვის შემდეგ მიღებული იქნეს ქვეყნისათვის სასიკეთო გადაწყვეტილებები.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის განხილვა

2014 წლის 13 მაისს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

კრებაზე განხილული იქნა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია, რომელიც დამუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების

მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე. ძირითადი მომხსენებელი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, რომელიც ხელმძღვანელობდა და

უშუალოდ მონაწილეობდა სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში.

წარმოდგენილი სტრატეგიის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს და საქმიანი შენიშვნები გამოთქვეს სსმ აკადემიის აკადემიკოსებმა ა. ვაშაკიძემ, ზ. ჩანქსელიანმა, გ. ბადრიშვილმა, გ. პაპუნძემ, თ. კუნჭულიამ, ნ. ქარქაშაძემ, ზ. ცქიტიშვილმა, ნ. ბაღათურამ, რ. მახარობლიძემ, სსმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა პ. კოლუაშვილმა და ო. ბედიამ, მთავარმა სპეციალისტმა ბ. ცერცვაძემ.

საერთო კრებამ დაავალა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის დამუშავების მეცნი-

ერების ჯგუფს და პირადად ჯგუფის ხელმძღვანელს აკად. ნ. ჭითანავას, რომ გაითვალისწინონ საერთო კრებაზე დამსწრე მეცნიერების გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ სტრატეგიის ახალი ვარიანტი სამთავრობო დონეზე განხილვისათვის.

აკადემიის საერთო კრების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ სტრატეგიის ჩასწორებულ ვარიანტი აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე საზოგადოების ფართო განხილვისათვის.

თანამშრომლობა უკრაინის მეცნიერებთან

2014 წლის 19-20 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე იმყოფებოდა უკრაინის ქალაქ ვინიცის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტში. აღნიშნულ უნივერსიტეტთან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი.

გასულ წელს სსმ აკადემიაში საერთაშორისო კონფერენციაზე უკრაინელი კოლეგების სტუმრობის შემდეგ საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო თანამშრომლობას და ამჟამად ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და შპს "კორონის" (საქართველო) მონაწილეობით ხორციელდება ერთობლივი კვლევა, რომელიც შეეხება შპს "კორონის" მიერ მცენარეული ნედლეულიდან დამზადებული საკვებდანამატის პრეპარატის "რუმიფოსის" გამოყენებას მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. "რუმიფოსი" ოლიგოსაქარიდებისა და ფენოლური ნაერთების შემცველი საკვებდანამატია. ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ვიტალი კუჩერიავის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს აღნიშნული პრეპარატის გამოცდა. უკვე დამთავრდა ცდების პირველი ეტაპი ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში და გამოვლინდა პრეპარატის დადებითი გავლენა მეხორცულ და მერძულ პროდუქტიულობაზე. ვინიცის ეროვნული უნივერსიტეტის ვიკარიუმში მიმდინარეობს ცდები ბოცვრებზე და ვირთხებზე, რომლის მიზანია პრეპარატის გავლენის შესწავლა ბეწვის ხარისხზე და სხვა. ცდების შედეგების დეტალური ანალიზი უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება უკრაინისა და საქართველოს სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. ასევე დაგე-

გმილია პრეპარატი "რუმიფოსის" წარდგენა საერთაშორისო პატენტის მოსაპოვებლად.

21-23 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე მონაწილეობდა უკრაინის ქალაქ კამიანეც-პოდოლსკის სახელმწიფო აგრარულ-ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობაში. იგი პლენარულ სხდომაზე წარსდგა მოხსენებით "საქართველოს მეცხოველეობისა და ზოოტექნიკური განათლების ისტორია". აღნიშნულ უნივერსიტეტთან აკადემიას 2010 წლიდან აკავშირებს ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი. კონფერენციაზე მოსმენილი იქნა მნიშვნელოვანი მოხსენებები, როგორც ზოოტექნიკური მეცნიერების ისტორიიდან ასევე თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შესახებ. კონფერენცია მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ივან ზადერის დაბადებიდან 110 წლისთავს. კონფერენციაზე სულ წარმოდგენილი იქნა 201 სამეცნიერო სტატია. მუშაობდა 4 სექცია: 1. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია; სოფლის მეურნეობის მეცნიერების ისტორია; 2. ცხოველთა კვება და საკვების ტექნოლოგია; 3. ცხოველთა მომშენებლობა, სელექცია და რეპროდუქცია; 4. მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავება და სტანდარტიზაცია; მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და

გადამუშავების ეკოლოგიური ასპექტები.
კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალი-
ერეს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი

საწარმოები. დასკვნით დღეს გაიმართა პლენარული სხდომა, სადაც კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.



დოქტორი ანატოლი გიორგაძე და ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ვიტალი კუნერიავი.


**ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი
კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიასთან**

2014 წლის 26 მაისიდან 1 ივნისამდე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე და სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი დავით მალრაძე კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწვევით იმყოფებოდნენ კორეის რესპუბლიკაში.

ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და ეროვნული აგრობიომრავალფეროვნების ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაცნობა, საქმიანი კონტაქტების დამყარება და მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც სოფლის მეურნეობაში აგრობიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დღევანდელ მსოფლიო გამოწვევების საკითხებს მიეძღვნა. აღნიშნულ კონფერენციაზე აკად. გ. ალექსიძის მიერ გაკეთებული იქნა მოხსენება, რომელიც საქართველოს აგრარული მეცნიერების მდგომარეობას და პერსპექტივებს ეხებოდა და ფართოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მოქმედი ბიომრავალფეროვნების

ცენტრის მუშაობის ამსახველი ასპექტები. კონფერენციაზე აღნიშნულ საკითხებზე საინტერესო მოხსენება გააკეთა დოქტ. დავით მალრაძემ.

აკად. გ. ალექსიძის ვიზიტის ფარგლებში 2014 წლის 28 მაისს ხელი მოეწერა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის, რაც საქართველოს და კორეის რესპუბლიკის აგრარული მიმართულების მეცნიერების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების თანამშრომლობის წარმატებულ საწყის ეტაპად უნდა მივიჩნიოთ.



მემორანდუმზე ხელის მოწერის საზეიმო ცერემონია. მარცხნიდან დოქტ. დავით მადრაძე, სსმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გურამ ალექსიძე, კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერების ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, დოქტ. ჩან ჰი-კიუნგი, ეროვნული აგრობიომრავალფეროვნების ცენტრის დირექტორი, დოქტ. კიმ იონგ-გუ.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და კორეის რესპუბლიკის აგრობიომრავალფეროვნების ცენტრს შორის ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელის მოწერის შემდეგ.

აგრარიკოსი მეცნიერების შეხვედრა ქ. თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიასთან

2014 წლის 04 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ქ. თბილისის მერობის კანდიდატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით ნარმანია შეხვდა საქართველოს აგრარული დარგის მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები, აგრარული დარგის მეცნიერები და სპეციალისტები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა სსმ აკადემიის პრეზიდენტმა, აკად. გურამ ალექსიძემ, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა მერობის კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემები, მისი მოღვაწეობის პერიოდები ივ. ჯავახიშვილის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრად მუშაობის დროს. ქ. თბილისის მერობის კანდიდატმა ვრცელი საპროგრამო სიტყვით მიმართა დარბაზში

მსხლომ საზოგადოებას, გააშუქა თავისი სამომავლო პროგრამის ყველა ასპექტი, ძირითადი აქცენტი გააკეთა ქ. თბილისის განაშენიანების საზღვრების გაფართოებაზე, ქალაქის მწვეანე ზოლის და სივრცის დაგეგმარებასა და პროექტებზე, ქალაქის მიკროკლიმატის ძირეული გაჯანსაღების საკითხებზე და სხვა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სსმ აკადემიის აკადემიკოსებმა ნ.ბაღათურიამ და ზ.ცქიტიშვილმა, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ.კოდუაშვილმა, აკადემიის სხვა წევრებმა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებამ მოიწონა ქ.თბილისის მერობის კანდიდატის სამოქმედო პროგრამა და უსურვა მას მომავალი წარმატებები.



სსმ აკადემიის პრეზიდენტი, აკად. გ. ალექსიძე, ქ. თბილისის მერობის კანდიდატი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი დ. ნარმანია და სსმ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოს-მდივანი აკად. გ. ჯაფარიძე.

თანამშრომლობა “ელკანასთან”

ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია “ელკანას” ოფისში, პროექტის – “საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ელექტრონული კატალოგის მომზადება”, ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები მრავალი მაგიდის ფორმატში, რომელიც შეეხებოდა კატალოგის კომპონენტების განხილვას.

სსმ აკადემიის მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში საინტერესო იყო იმიტომაც, რომ აკადემიასთან ჩამოყალიბებულია “ბიომრავალფეროვნების ცენტრი”, რომლის თავმჯდომარეა სსმ აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.

შეხვედრებზე, სადაც წარმოდგენილი იყო აგრარული დარგის ექსპერტების მიერ მომზადებული მასალები, მიმდინარეობდა რეცენზენტებისა და რედაქტორის/კორექტორის შენიშვნების განხილვა, დისკუსიის გამართვა და მოსაზრებების შეჯერება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის სწავლულმა მდივანმა, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორმა ანატოლი გიორგაძემ, რომელიც ამავე დროს არის სსმ აკადემიასთან არსებული ბიომრავალფეროვნების ცენტრის თავმჯდომარის მოადგილე (კომპონენტი

სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, ფრინველები, თევზები – 15 მარტი, 2014წელი) და ქეთევან მჭედლიშვილმა, ფერმერებთან კავშირისა და საქმიანობის კოორდინატორმა (კომპონენტების – მინდვრის კულტურები - 10 აპრილი, 2014წ.; ვაზი - 24 აპრილი, 2014წ.; ხილი და კენკროვნები – 10 ივნისი, 2014წ.).

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ პროექტი – “საქართველოს აგრარული ბიომრავალფეროვნების შესახებ ელექტრონული კატალოგის მომზადება”, მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქვეყნის სოფლის მეურნეობის მიმართულების ყველა სპეციალისტისთვის, სასარგებლო ნაშრომი იქნება როგორც აგრარული მიმართულებით დასაქმებული მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის, ისე უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრების, მაგისტრების და დოქტორანტებისათვის.

ინფორმაცია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ მოამზადა:

1. რეკომენდაციების კრებული - აგრარული დარგის მეცნიერების მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე,
2. რეკომენდაციები "მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და ნიადაგის დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობის პარამეტრების შესახებ"; ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ჯუმბერ ონიანი.
3. ნაშრომი "საკვები კულტურების აგროწესები"- (ავტორი აკად. გ. ცაგურიშვილი, თანაავტორები: ქ. ნიაური და ნ. უვანია).
4. რეკომენდაცია "შემოდგომაზე გაუხეშებული თუთის ფოთლისაგან მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერი) დამზადების შესაძლებლობა, ტექნოლოგიები და ეკონომიური ეფექტიანობა"; ავტორები აკად. წ/კ გნიკოლეიშვილი, აკად. წ/კ ე. შაფაქიძე, აკად. დოქტორები თ. დალალიშვილი და ა. ჩაველიშვილი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ რეკომენდებულია ნაშრომები:

- “ადამიანი და მწერები”. ავტორი სსმმ აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე.
- “მეაბრეშუმეობა – შავი, კასპის, ზღვების და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების (BACSA) საერთო საზრუნავია”. ავტორები სსმმ აკადემიის წ/კ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ნიკოლეიშვილი და სსმმ აკადემიის წ/კ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა შაფაქიძე.
- “მევენახეობის ტექნოლოგია და სამუშაოთა მექანიზაცია”. ავტორი სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ო.ბეღია.

მეორე კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი. მათ შორის: კანონპროექტის “სურსათად/ცხოველის საკვებად გამოყენებული გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების” შესახებ. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სამეცნიერო თანამშრომლობა უკრაინულ მეცნიერებთან და IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შესახებ პოდოლსკის აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტი, უკრაინა. მომხსენებელი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე; სსმმ აკადემიაში სამეცნიერო კონფერენციის “კლიმატის ცვლილება და სოფლის მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარება” ჩატარების საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე. სსმმ აკადემიაში მეთოდური ლიტერატურის და რეკომენდაციების გამოცემის შესახებ. მომხსენებელი: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე.

განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს.

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი გივი მოსაშვილი

“აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” დამატება. "News of Academy" - addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultural Sciences of Georgia.